ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №12

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N65 21 აგვისტო 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, თენგიზ დვალიშვილი, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი №1).

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **-ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **-ზაზა ოჩხიკიძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14[00] საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექთტა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესების დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე.

მომხსენებელი: /ზაზა ოჩხიკიძე/

2.ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: /ზაზა ოჩხიკიძე/

3.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6- თვის შესრულების და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიზემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექთტა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესების დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 13 ობიექტია მიღებული საპრივატეზებოდ და წარმოადგინა ეს ობიექტები:

2.1 ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩა N55-ში მდებარე 1000 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 277.54 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.30.906), საწყისი საპრივატიზებო საფასური-20000 (ოცი ათასი) ლარი;

2.2 ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 213 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.01.26.392), საწყისი საპრივატიზებო საფასური6000 (ექვსი ათასი) ლარი;

2.3 ქ. ვანში, გ. ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 1870 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.23.181), საწყისი საპრივატიზებო საფასური30000 (ოცდაათი ათასი) ლარი;

2.4 ქ. ვანში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე 33 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.29.375), საწყისი საპრივატიზებო საფასური-2000 (ორი ათასი) ლარი;

2.5 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 850 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.24.314), საწყისი საპრივატიზებო საფასური640 (ექვსას ორმოცი) ლარი;

2.6 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 1224 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.24.312), საწყისი საპრივატიზებო საფასური920 (ცხრაას ოცი) ლარი;

2.7 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 2156 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.24.311), საწყისი საპრივატიზებო საფასური1620 (ათას ექვსას ოცი) ლარი;

2.8 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 600 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.29.110), საწყისი საპრივატიზებო საფასური450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი;

2.9 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტობანიერი მდებარე 3100 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.21.267), საწყისი საპრივატიზებო საფასური2325 (ორი ათას სამას ოცდახუთი) ლარი;

2.10 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტობანიერი მდებარე 7500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.21.266), საწყისი საპრივატიზებო საფასური5625 (ხუთი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარი;

2.11 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტობანიერი მდებარე 4300 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.21.264), საწყისი საპრივატიზებო საფასური3225 (სამი ათას ორას ოცდახუთი) ლარი;

2.12 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტობანიერი მდებარე 1000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.21.281), საწყისი საპრივატიზებო საფასური750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი;

2.13 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუქედში მდებარე 4816 კვმ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.15.21.344) განთავსებული N2 შენობა ნაგებობის, ფართით 1308 კვმ და N 3 შენობა-ნაგებობის, ფართით 60 კვმ დემონტაჟი, საწყისი საპრივატიზებო საფასური 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი- არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექთტა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესების დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე."

(დანართი: განკარგულება 27 35)

მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხთნ დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.''

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" ძველი საავადმყოფოს შენობიდან გადადის მუსიკალური სასწავლებლის შენობის პირველ სართულზე, მათთვის გამოყოფილ ფართში, რაზეც გვჭირდება საკრებულოს თანხმობა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.”

(დანართი: განკარგულება N 27 36)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმაოდგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6- თვის შესრულების და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 6 თვის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 12967,4 ათასი ლარით, გადასახდელები 16584,1 ათასი ლარის ხოლო ნაშთის ცვლილება -3616,7 ათასი ლარის მოცულობით. (დანართი თან ერთვის)

დღის წესრიგით წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე